ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 19/05

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 19 მაისი 2016 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანების №№13 "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ **სსიპ "თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" დირექტორის ეკატერინე მაზმიშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ **შპს „ბაგირი - 2015"** **ს/კ. 429321940** (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

3. **ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **დამჭერი ღვედი , კარაბინი (CPV- 39541100), ჯაჭვი (CPV-44540000),**

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს" ქვეპუნქტი შესაბამისად. 5000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვა.

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **140.00 (ასორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს შესყიდული საქონელი. საქონლის მოწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს --- კალენდარული დღე

6. **ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები.

6.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გაიხახორის გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

7. **მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8. **ანგარიშსწორება**

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს --- სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.

11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. დავების გაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია

19.05.2016 – 20.06.2016

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ „თბილისის კოტე მარჯანიშვილის" სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" მის: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №8 ს/კ 201947705 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ.კ. TRESGE 22	შპს „ბაგირი - 2015" ს/კ. 429321940 მის: კოსმონავტების 25/66
დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი (ბ.ა.)	(ბ.ა.)

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.თბილისი 19 მაისი 2016 წ.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სსიპ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი, ხელის მოწერით ადასტურებს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში **შპს „ბაგირი-2015"** - ის მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თეატრის დირექტორი ეკ. მაზმიშვილი ეკატერინე მაზმიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 19 მაისი 2016 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი: ერთის მხრივ სსიპ "თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" მისი დირექტორის ეკატერინე მაზმიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბაგირი - 2015" ს/კ. 429321940 ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა შემდეგი სახის საქონელი:

დამჭერი ღვედი , კარაბინი (CPV- 39541100), ჯაჭვი (CPV- 44540000)

საერთო თანხა შეადგენს **140.00** (ასორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

წინამდებარე აქტი ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას და წარმოადგენს დადგენილი ანახდაურების გადახდის საფუძველს.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სსიპ "თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრთან" ხოლო მეორე – **შპს „ბაგირი-2015"-თან**

აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

შემსყიდველი:

სსიპ „თბილისის კოტე მარჯანიშვილის"
სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული
თეატრი"
მის: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №8
ს/კ 201947705
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ. **TRESGE 22**

დირექტორი
ეკატერინე მაზმიშვილი

(ბ.ა.)

მიმწოდებელი:

შპს „ბაგირი - 2015"

ს/კ. 429321940

მის: კოსმონავტების 25/66